დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის
აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი №11, 02.10.2020წ.

რექტორი, პროფესორი _____ მარინა ფირცხალავა

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის

სამეცნიერო ფონდი

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სამეცნიერო ფონდის (შემდგომში „ფონდი“) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებებს და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ფონდი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

3. ფონდი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას წარმოადგენს უნივერსიტეტს.

4. ფონდი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

მუხლი 2. ფონდის მიზნები და ამოცანები

1. ფონდის საქმიანობის მიზნებია:

ა) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, კვლევების დაფინანსების მოდელების განსაზღვრა;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების უზრუნველყოფა;

გ) ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების გამოყენებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხილვა და მათი დაფინანსების/თანადაფინანსების უფრუნველყოფა;

დ) უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე/განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისადმი ხელშეწყობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე, ფონდის ძირითადი ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დასაფინანსებლად დაფინანსების მოდელების განსაზღვრა;

ბ) საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ სამეცნიერო ფონდებთან, ასევე სახელმწიფო და არასახელმწიფო დონორ ორგანიზაციებთან ინსტიტუციონალური კვლევების დაფინანსებასთან დაკავშირებული თანამშრომლობა;

გ) კვლევების შედეგების პოპულარიზაციის მიზნით ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტების დამყარება, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დაფინანსების ინტერნაციონალიზაცია.

მუხლი 3. ფონდის ფუნქციები

1. ფონდის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის/პროექტების ეფექტური და შეუფერხებელი განხორციელებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა, ადმინისტრირება და ჩატარების ხელშეწყობა (სამეცნიერო გრანტები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტების/მეცნიერების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვ.) და მათი დაფინანსების/თანადაფინანსების უზრუნველყოფა;

ბ) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული უნივერსიტეტის პერსონალისათვის ხელშეწყობა;

გ) სამეცნიერო მივლინებების დაფინანსება;

დ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსებასთან დაკავშირებული პროექტების შემუშავება-ინიცირება;

ე) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების (შიდა გრანტის) მოსაპოვებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება (კონკურსი და სხვა);

ვ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების გარე დაფინანსების (გრანტების, შემოწირულობების) მოპოვების ხელშეწყობა, კონსულტაციების გაწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პირებისათვის;

ზ) სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და მათი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით კონტაქტების დამყარება და თანამშრომლობა საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ფონდებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო დონორ ორგანიზაციებთან (უცხოური უნივერსიტეტები, სამეცნიერო ფონდები, ბიზნეს-სექტორი და სხვა);

თ) საერთაშორისო კონგრესების, კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების ორგანიზება და მათი ჩატარების ხელშეწყობა საქართველოსა და საზღვარგარეთ;

ი) კონკურსის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო სამეცნიერო პუბლიკაციისათვის პრემიის გაცემა.

კ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის/სტუდენტის მიერ წარდგენილი კვლევითი პროექტის განხილვა, დაფინანსება.

2. ფონდი ამ დებულებით განსაზღვრული მიზნების/ამოცანების მისაღწევად და ფუნქციების განსახორციელებლად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, როგორც უნივერსიტეტის, ასევე საზღვარგარეთის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან.

მუხლი 4. ფონდის ხელმძღვანელობა და მართვა

1. ფონდს ხელმძღვანელობს ფონდის საკოორდინაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან უნივერსიტეტის რექტორი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და 2 მოწვეული პირი. საკოორდინაციო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმა ენიჭება უნივერსიტეტის რექტორის ხმას. საკოორდინაციო საბჭოს სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის მიერ. საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

2. ფონდის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე არის უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - მის მიერ საბჭოს შემადგენლობიდან დასახელებული პირი.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე წარმოადგენს ფონდს სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ დაწესებულებებში.

3. ფონდის საკოორდინაციო საბჭო:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ფონდის საქმიანობას და პასუხისმგებელია ფონდზე დაკისრებული მიზნების მიღწევაზე, ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებებზე;

ბ) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სამეცნიერო და საგრანტო პროექტებში მონაწილეობას და განსაზღვრავს მათი დაფინანსების/თანადაფინანსების საკითხებს;

გ) ქმნის კომისიებს/სამუშაო ჯგუფებს უნივერსიტეტის ერთეულებიდან წარმოდგენილი საკვლევი პრობლემატიკისა და პროექტების განსახილველად, ასევე თემატურ ჯგუფებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სხვადასხვა საკითხების განსახილველად;

4. ფონდი თავისი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.

მუხლი 5. საკვლევი თემატიკის პროექტის განხილვის წესი

1. საკვლევი თემატიკის პროექტის მიღებისთანავე, ფონდის საკოორდინაციო საბჭო ქმნის ექსპერტთა ჯგუფს მინიმუმ სამი პირის მონაწილეობით, რომლებიც განიხილავენ აღნიშნულ პროექტს. ექსპერტთა ჯგუფში - ერთი წევრი წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, ხოლო დანარჩენი წევრები - მოწვეულ პირებს. ექსპერტთა გადაწყვეტილებები ეგზავნება ფონდის საკოორდინაციო საბჭოს.

2. ფონდის საკოორდინაციო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროექტი ფინანსდება.

მუხლი 6. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დაფინანსების განსაზღვრა

უნივერსიტეტის სამეცნიერო ფონდის ბიუჯეტი ნაწილდება სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად.